საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გიშის საეპისკოპოსო

გიშის საეპისკოპოსო, ერთ-ერთი საეპისკოპოსო ფეოდალურ საქართველოში. მის მეთაურს, გიშელ ეპისკოპოსს, აღმ. საქართველოს საეკლ. იერარქიაში XIII ს-ში 35-ე ადგილი ეჭირა. ვარაუდობენ, რომ გ. ს. „ეპისტოლეთა წიგნის" ქართ. საეპისკოპოსოთა ნუსხებში (VI ს.) იხსენიება.

ეპარქია მოიცავდა ელისენს (ახლანდ. ბელაქნის, ზაქათალისა და კახის რ-ნების ტერიტ., აზერბ. რესპ.), წუქეთს (ახლანდ. რუთულის და ახთის რ-ნები, დაღ. ტერიტ.) და შაკიხს (ახლანდ. შაქის რ-ნი, აზერბ. რესპ.). ა. ხახანაშვილის მოსაზრებით, VIII–IX სს-ში გ. ს-ს ცენტრი იყო ლეკითის ტეტრაკონქი (კახის რ-ნი, აზერბ. რესპ.).

დ. მუსხელიშვილი